სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

12137461109825

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250639316

რეგისტრაციის თარიღი

28.05.2025 წ

ნოტარიუსი: თეა კიკუაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი,კ.ლესელიძის ქ. #17

ტელეფონი: 593235532

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდარვა მაისს მე, ნოტარიუს თეა კიკუაშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ლესელიძის #17, მომმართა **ჯუმბერ ზოიძემ** . მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა **ლანა ჩაკვეტაძის** მიმართ და მოითხოვა ამ მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, ამასთან **ჯუმბერ ზოიძემ** განაცხადა, რომ იგი არის შპს «ელტური-2008»-ს დირექტორი. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად **ჯუმბერ ზოიძემ** (დაბ.09.06.1961წ. მისი განცხადებით მცხ: ბათუმი, თამარ მეფის V შესახვევი, N 1, პირადი #61005000380) მომმართა.

მე შევამოწმე **ჯუმბერ ზოიძის** უფლებამოსილება: იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს «ელტური-2008»ი (ს/ნ 248434038), თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განაცხადის ნომერი: ამონაწერის მომზადების თარიღი: B24153957, 04/12/2024 09:44:13.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე "მიმნდობ" პირს. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას. მიმნდობის წარმომადგენელს“ განემარტა, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს მინდობილობა და ამის შესახებ უნდა აცნობოს „მინდობილ“ პირს.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდარვა მაისს **ჯუმბერ ზოიძემ** ., როგორც შპს «ელტური-2008»ი (ს/ნ 248434038) დირექტორმა, რომელიც შემდეგში მოხსენებულია როგორც «მიმნდობი» პირი, **ლანა ჩაკვეტაძეს** (დაბ:16.12.1992წ. პ/ნ 62002006720), რომელიც შემდეგში მოხსენებულია როგორც «მინდობილი» პირი, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

იყოს შპს «ელტური-2008»ი (ს/ნ 248434038) წარმომადგენელი ნებისმიერ უძრავ ქონებაზე არქიტექტურულ-სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე მშენებლობა დამთავრებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით წარმოადგინოს მიმნდობის ინტერესები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან, მათ შორის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიცილაპიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან, ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან, ქ. თბილისის მუნიცილაპიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან, თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონის გამგეობასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და შესაბამის სამსახურებთან, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, ასევე ნებისმიერი სხვა კომპეტენტურ ორგანოსთან ურთიერთობაში. მინდობილი პირი უფლებამოსილია აწარმოოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული საქმიანობები, წარადგინოს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, მოიპოვოს მშენებლოს ნებართვა, უზრუნველყოს არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, პროექტის კორექტირება, სამშენებლო დოკუმენტებში ცვლილებების შეტანა, განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტის წარდგენა, ხარვეზის არსებობისას ხარვეზ(ებ)ის შესწორება, უზრუნველყოს მიწის ნაკვეთ(ებ)ის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზ(ებ)ისა და უძრავი ნივთის შიდა აზომვითი ნახაზების დაკვეთა-მომზადება, გაყოს, გამიჯნოს, გააერთიანოს შპს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები, შეიყვანოს კომუნიკაციები, ხელი მოაწეროს უძრავი ნივთ(ებ)ის საკადასტრო აგეგმვითი/აზომვით ნახაზებს, შიდა აზომვით ნახაზებს, ხელი მოაწეროს შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ აქტს, განათავსოს სარეკლამო ბანერი, მიიღოს ნებართვა სარეკლამო ბანერის განთავსებასთან დაკავშირებით, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები, მოიპოვოს

(გამოითხოვოს) შექმნას და წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტებს.

მინდობილობა გაცემულია ორიათას ოცდახუთი წლის ოცდარვა ნოემბრის ჩათვლით.

წინამდებარე სანოტარო აქტი შედგენილია სამ თანაბრამნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან სამი გადაეცა მხარეს, ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში.
ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარებს, რომლებიც რჩება სანოტარო არქივში თან ერთვის 1 დოკუმენტი:
1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან გაცემული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: ამონაწერის მომზადების თარიღი B24153957, 04/12/2024 09:44:13.
გადახდილია ნოტარიუსის საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ) 31-ე მუხლისა 30-00 ლარი, აგრეთვე დღგ 5-40 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია 40-40 ლარი.

1.

ნოტარიუსი თეა კიკუაშვილი